ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო31.31203292**

თარიღი:**24/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ სხდომის ოქმს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 19 ნოემბერს.

დანართი: სხდომის ოქმი№ 2-3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

სპარტაკ კვაჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველები"-საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი 19.11.2020 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება–მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე.
ფრაქციის წევრები: ამირან ქანთარია, ზურაბ კუკულავა ელისო ჭიჭინაძე.
ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: სპარტაკ კვაჭაძე /

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ის ამოცანები, რაც ზოგადად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 11850400ლარით.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან. რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში წამოიჭრება გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები, მაგრამ წარმოდგენილი პროექტი გახლავთ დაბალანსებული. როგორც პროექტიდან ჩანს, არის გარკვეულ ფარგლებში მატებები დამატებითი ღირებულების გადასახდის ხარჯზე, სხვა მხრივ კი, მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მაჩვენებლების დონე. აქედან

გამომდინარე, დღგ-ის ზრდის ხარჯზე შესაძლებლობის ფარგლებში ამოცანების მიხედვით თანხები გადანაწილებულ იქნა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებსა და კონკრეტულ საბიუჯეტო ღონისძიებებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში არ არის წარმოდგენილი სახელფასო მატება, რადგან ამას ესაჭიროება შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ფრაქციის წევრების მიერ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნები :

1. 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ოთახების კოსმეტიკური რემონტი(განსაკუთრებით სოციალურ საკითხთა,განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის და ფრაქცია ქართული ოცნება მრეწველების საეთო ოთახი).
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოფისე ტექნიკით უზრუნველყოფა.
3. მოხდეს თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასების მოწესრიგება სახელფასო ფონდი დაიგეგმოს 13 თვეზე.

სხდომის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით.

მომხრე-4, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
თავმჯდომარე: **სპარტაკ კვაჭაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19 ნოემბერი **2020** წელი
11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	სპარტაკ კვაჭაძე	10 58	
2	ზურაბ კუკულავა	10 55	
3	ამირან ქანთარია	10 50	
4	ელისო ჭიჭინაძე	10 50	